

სს სტიმორ ასოციატეს ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

**სს სტიმორ ასოციატეს ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სტიმორ ასოციატეს ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს სტიმორ ასოციატეს ს. ა. საქართველოს წარმომადგენლობის (შემდეგში წარმომადგენლობა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს წარმომადგენლობის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2017 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

წარმომადგენლობას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს 366 ათასი, 587 ათასი და 1,023 ათასი ლარის ღირებულების მარაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრისთვის. მენეჯმენტს არ შეუფასებია მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრისთვის. 2018 წელს აღიარებულია ზარალი მარაგების ჩამოწერიდან 194 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა შესაფერისი მტკიცებულება რომ განგვესაზღვრა, ზარალის აღიარების დროულობის სისწორე და იყო თუ არა საჭირო სხვა კორექტირებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრისთვის მარაგების ნაშთთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღირებულ წარმოების დანახარჯებთან მიმართებაში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და
- შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

შპს ფი-ქეი-ეფ ჯორჯია
17 ივნისი 2019
თბილისი, საქართველო

სს სტიმორ ასოციატეს ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბაზრო ღირებულება	4	9,220	6,059
წარმოების ხარჯები		(5,007)	(4,961)
საოპერაციო მოგება		4,213	1,098
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები		(1,198)	(753)
ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,748)	(3,206)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	408	1,373
სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(547)	(413)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		128	(1,901)
საპროცენტო ხარჯი		(1,712)	(2,348)
საკურსო ზარალი, ნეტო		(411)	531
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(1,995)	(3,718)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,995)	(3,718)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს სტიმორ ასოციაცია ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები ნეტო	8	17,110	18,759	20,079
არამატერიალური აქტივები		4	4	4
გადახდილი გრძელვადიანი ავანსი		136	146	198
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,250	18,909	20,281
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	9	231	225	198
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,268	587	501
გადახდილი მოკლევადიანი ავანსები		305	166	570
საგადასახადო აქტივი	11	176	242	398
მარაგები		366	587	1,023
სულ მიმდინარე აქტივები		2,346	1,807	2,690
სულ აქტივები		19,596	20,716	22,971
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	16,651	23,024	22,468
გადასახდელი პროცენტები		498	536	63
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,149	23,560	22,531
კაპიტალი				
დაფინანსება სათაო ოფისიდან	14	16,189	8,919	8,682
გაუნაწილებელი ზარალი	14	(16,071)	(14,076)	(10,358)
სულ კაპიტალი		118	(5,157)	(1,676)
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,301	2,193	1,942
აღებული სესხები		28	66	66
ფინანსური ლიზინგი		-	54	108
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,329	2,313	2,116
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,596	20,716	22,971

ხელმოწერილი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს სტიმორ ასოციატეს ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	კაპიტალი დედა კომპანიიდან	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2017	8,682	(10,358)	(1,676)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(3,718)	(3,718)
მიღებული დაფინანსება	237	-	237
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	8,919	(14,076)	(5,157)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(1,995)	(1,995)
მიღებული დაფინანსება	7,270	-	7,270
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	16,189	(16,071)	118

ხელმოწერი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს სტიმორ ასოციაცია ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	(1,995)	(3,719)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,683	1,646
საპროცენტო ხარჯი	1,712	2,348
სხვა	-	(750)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	1,400	(475)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	222	436
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(681)	(86)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ თანხებში	(140)	405
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში და ავანსებში	66	156
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	108	251
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	(54)	(54)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	921	633
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(1,750)	(1,142)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(829)	(509)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(23)	(275)
სხვა გრძელვადიანი აქტივის შესყიდვა	-	-
საინვესტიციო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(23)	(275)
ფულადი სახსრები ფინანსური აქტივობებიდან		
დედა კომპანიისგან მიღებული ფულადი სახსრები	7,270	237
მესამე მხარისთვის გაცემული სესხი	(6,411)	
მესამე მხარისგან მიღებული სესხი		556
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობიდან	858	793
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	6	10
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	225	198
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	17
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	231	225

ხელმოწერი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

სს სტიმორ ასოციაცის ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში (შემდგომში წარმომადგენლობა) დარეგისტრირებულია საქართველოში 2008 წლის 28 ივნისს. საიდენტიფიკაციო ნომერია 202450837. კომპანიას სახელწოდება შეეცვალა რამოდენიმეჯერ, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის სახელწოდებაში ცვლილებები არ განხორციელებულა. საქართველოში წარმომადგენს სტიმორ ასოციაცის ს. ა. რომელიც თავის მხრივ რეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 1430448 სარეგისტრაციო ნომრით.

წარმომადგენლობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასაბურთო მეურნეობის მართვა. წარმომადგენლობა ფლობს საბურთო ზუგდიდის რაიონში სოფელ ცაიშში რომელიც ფუნქციონირებს ცხრა ჰექტარ ფართობზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ბელიაშვილის ქ. (ყოფილი მიონის ქარხნის ადმინისტრაციის შენობა). კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის ბესიკის ქუჩა N4.

წარმომადგენელი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბერისთვის	2.5922	3.1044
2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესაძარის ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო

მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებადი ღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან

დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხდება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	განუსაზღვრელი
შენობა-ნაგებობები	20 წელი
სასათბურე ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	4-10 წელი
ავტოტრანსპორტი	5-15 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-8 წელი

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივები რომელსაც ჭირდება მნიშვნელოვანი პერიოდი მოსავლის მისაღებად აღირდება რეალური ღირებულებით, იმ ბიოლოგიური აქტივებისთვის რომელსაც არ აქვს ერთ წელზე მეტი მომსახურების ვადა მოვლის ხარჯები აღირდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად. ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება მისი მიღების მომენტისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. თავდაპირველი აღირების შემდგომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება მარაგებთან დაკავშირებული საადრიცხო პოლიტიკის შესაბამისად.

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

წარმომადგენლობა საწესდებო კაპიტალად განიხილავს დამუძნებლისგან მიღებულ დაფინანსებას რომელსაც არ აქვს სესხის სახე და გამიზნულია სამუშაო კაპიტალის შესავსებად და/ან ზარალის შედეგად წარმოშობილი უარყოფითი ფულადი ნაკადების შესავსებად.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის

ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საფაქრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით

დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბაზრო ღირებულება

	2018	2017
პომიდორი	9,220	5,658
ატამი	-	401
	9,220	6,059

5. ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,683	1,646
სახელფასო ხარჯი	519	540
საგადასახადო ხარჯი	207	232
სხვა ზოგადი ხარჯი	183	145
შენახვის ხარჯი	181	149
იჯარის ხარჯი	67	214
საექვო ვალების რეზერვთან დაკავშირებული ცვლილებები	(256)	101
სხვა ხარჯი	164	179
	2,748	3,206

6. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი ვერტმფრენით მომსახურებიდან	408	623
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან	-	750
	408	1,373

7. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018	2017
ვერტმფრენის მომსახურების ხარჯი	353	390
სხვა	-	23
მარაგების ჩამოწერა	194	-
	547	413

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	სათბური	სხვა აქტივები	ოფისის აღჭურვილო ბა	ავტომობილებ ი და ვერტმფრენი	მანქანა- დანადგარებ ი	იჯარით აღებული სათბურის კეთილმოწყობა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება									
1 იანვარი, 2017	903	10,702	540	7,230	1,058	407	820	298	21,958
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	44	144	95	-	41	-	324
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2017	903	10,702	584	7,374	1,153	407	861	298	22,282
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	29	5	-	-	-	-	34
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	903	10,702	613	7,379	1,153	407	861	298	22,316
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი, 2017	-	812	54	689	187	58	79	-	1,879
წლის დარიცხული ცვეთა	-	732	73	582	115	52	90	-	1,644
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2017	-	1,544	127	1,271	302	110	169	-	3,523
წლის დარიცხული ცვეთა	-	732	83	611	119	52	86	-	1,683
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	-	2,276	210	1,882	421	162	255	-	5,206
ნარჩენი ღირებულება									
1 იანვარი, 2017	903	9,890	486	6,541	871	349	741	298	20,079
31 დეკემბერი, 2017	903	9,158	457	6,103	851	297	692	298	18,759
31 დეკემბერი, 2018	903	8,426	403	5,497	732	245	606	298	17,110

9. ფულადი სახსრები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	3
შეზღუდული ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	50	50	50
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	181	175	145
	231	225	198

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გროსი)	1,437	985	812
რეზერვი	(169)	(398)	(311)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ნეტო)	1,268	587	501

11. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, კომპანიას საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილი აქვს ნეტო თანხით.

12. გრძელვადიანი სესხები

გამსესხებელი	პროცენტი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	11%	14,075	16,491	21,796
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	12%	429	-	-
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	12%	2,141	784	5
დაკავშირებული ფიზიკური პირისგან მიღებული სესხები	12%	6	5,749	667
		16,651	23,024	22,468

კომპანიას ფინანსური ინსტიტუტებიდან გააჩნია ორი მთავარი სესხი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, სადაც წლიური საპროცენტო 11%-იანი განაკვეთიდან 10% დაფინანსებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროექტების მენეჯმენტის სააგენტოს მიერ პირველი 24 თვის განმავლობაში. სესხი აღებულია დოლარში. 14 მილიონიდან 3.5 მილიონი გადასახდელია 2019 წელს, ხოლო დანარჩენი 2021 წელს.

სხვა კომპანიებიდან მიღებული სესხები წარმოადგენს შპს საირმე მინერალური წყლებისგან მიღებულ სესხს. სესხი აღებულია ევროში.

ფიზიკური პირებისგან სესხი აღებულია დოლარში, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 12%.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,838	1,805	1,303
მიღებული ავანსები	296	283	497
სახელფასო ვალდებულებები	167	105	142
	2,301	2,193	1,942

14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანია წარმოადგენს, სააქციო საზოგადოება სტიმორ ასოციაცე ს.ა., ვირჯინიის კუნძულების წარმომადგენლობას, ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნისთვის საწესდებო კაპიტალად განხილულია სათაო ოფისიდან მიღებული დაფინანსება რომელსაც არ აქვს სესხის სახე და გამოწვეულია კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოსაყენებლად ან კაპიტალური დაბანდებისთვის.

15. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფისომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ვალდებულებების შესრულება

კომპანიას გააჩნია გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შესრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. კომპანია ანგარიშგების თარიღისთვის მენეჯმენტის შეფასებით სრულად აკმაყოფილებს აღებულ ვალდებულებებს.

16. ფუნქციონირებადი საწარმო

წარმომადგენლობამ 2017 და 2018 წლებში აჩვენა წმინდა ზარალი. ეს გარემოება მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

წარმომადგენლობა თავისი საწარმოო სიმძლავრის გაზრდის პროცესშია. 2019 წელში იგეგმება კიდევ ერთი სათბურის დამატება, რომლის მშენებლობისთვისაც იგეგმება სესხის აღება ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან, სესხის პირველ 2 წელზე გავრცელება საშეღავათო პერიოდი, რომლის დროსაც კომპანია არც ძირს და არც პროცენტს არ დაფარავს.

ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად წარმომადგენლობა დააფინანსა სათაო ოფისმა კაპიტალში განხორციელებული შენატანით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მშობელ კომპანიას აქვს სურვილი და უნარი, გააგრძელოს კომპანიის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება საბოლოო მშობელი კომპანიის ქმედებებითა და მათ მიერ მოწოდებული ოფიციალური წერილით, დახმარების შესახებ მზაობაზე.

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ წარმომადგენლობა მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან:

	2018	2017
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	93	125
	93	125

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ურთიერთობის ტიპი		31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
მიღებული სესხი	სათაო კომპანიის მეწილე	614	5,545	-
მიღებული სესხი	დირექტორის წარმომადგენელი	53	204	6

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

შპს ფი-ქეი-ევ ჯორჯია
17 ივნისი 2019
თბილისი, საქართველო



სს სტიმორ ასოციაცის ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
მოგება/ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	2018	2017
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბაზრო ღირებულება	4	9,220	6,059
წარმოების ხარჯები		(5,007)	(4,961)
საოპერაციო მოგება		4,213	1,098
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები		(1,198)	(753)
ადმინისტრაციული ხარჯები	5	(2,748)	(3,206)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	408	1,373
სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(547)	(413)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		128	(1,901)
საპროცენტო ხარჯი		(1,712)	(2,348)
საკუროსო ზარალი, ნეტო		(411)	531
მოგება (ზარალი) დაბეგრამდე		(1,995)	(3,718)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,995)	(3,718)

ხელმოწერი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს სტიმორ ასოციაცის ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	1-იან-2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები ნეტო	8	17,110	18,759	20,079
არმატერიული აქტივები		4	4	4
გადახდილი გრძელვადიანი ავანსი		136	146	198
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,250	18,909	20,281
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	9	231	225	198
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,268	587	501
გადახდილი მოკლევადიანი ავანსები		305	166	570
საგადასახადო აქტივი	11	176	242	398
მარაგები		366	587	1,023
სულ მიმდინარე აქტივები		2,346	1,807	2,690
სულ აქტივები		19,596	20,716	22,971
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	12	16,651	23,024	22,468
გადასახდელი პროცენტები		498	536	63
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		17,149	23,560	22,531
კაპიტალი				
დაფინანსება სათაო ოფისიდან	14	16,189	8,919	8,682
გაუნაწილებელი ზარალი	14	(16,071)	(14,076)	(10,358)
სულ კაპიტალი		118	(5,157)	(1,676)
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,301	2,193	1,942
აღებული სესხები		28	66	66
ფინანსური ლიზინგი		-	54	108
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,329	2,313	2,116
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,596	20,716	22,971

ხელმოწერილი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს სტიმორ ასოციაცეს ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	კაპიტალი დედა კომპანიიდან	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2017	8,682	(10,358)	(1,676)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(3,718)	(3,718)
მიღებული დაფინანსება	237	-	237
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	8,919	(14,076)	(5,157)
მიმდინარე წლის ზარალი	-	(1,995)	(1,995)
მიღებული დაფინანსება	7,270	-	7,270
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	16,189	(16,071)	118

ხელმოწერი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

სს სტიმორ ასოციაცის ს. ა. წარმომადგენლობა საქართველოში
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათას ლარში

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	(1,995)	(3,719)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,683	1,646
საპროცენტო ხარჯი	1,712	2,348
სხვა	-	(750)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	1,400	(475)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	222	436
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(681)	(86)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ თანხებში	(140)	405
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში და ავანსებში	66	156
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	108	251
ცვლილებები სხვა ვალდებულებებში	(54)	(54)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	921	633
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(1,750)	(1,142)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(829)	(509)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(23)	(275)
სხვა გრძელვადიანი აქტივის შესყიდვა	-	-
საინვესტიციო აქტივებებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(23)	(275)
ფულადი სახსრები ფინანსური აქტივობებიდან		
დედა კომპანიისგან მიღებული ფულადი სახსრები	7,270	237
მესამე მხარისთვის გაცემული სესხი	(6,411)	
მესამე მხარისგან მიღებული სესხი		556
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობიდან	858	793
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	6	10
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	225	198
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	17
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	231	225

ხელმოწერი პირები:

დირექტორის წარმომადგენელი

17 ივნისი 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.